აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ღია
მმართველობა
საქართველო

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა

ღია მმართველობა, ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა სხვა ფუნდამენტალურ ღირებულებებთან ერთად, დღეს, ჩვენი ქვეყნისთვის წარმოადგენს დემოკრატიის განვითარების შეუქცევად პროცესს.

ინსტიტუციური ეფექტურობის გაძლიერების, ღიაობის პრინციპების დანერგვის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით და ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივას შეუერთდა და 2020 წლის 30 აპრილის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა რეგლამენტში შესატანი ცვლილება, რომლის თანახმად უმაღლეს საბჭოში შეიქმნა მუდმივმოქმედი ორგანო – ღია მმართველობის საბჭო.

2020 წლის 22 ივნისს შეიქმნა საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც აჭარაში მოქმედ 11 ორგანიზაციას აერთიანებს. ღია მმართველობის საბჭომ, საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად, თანამშრომლობითი პროცესის შედეგად მოამზადა ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მნიშვნელოვან ვალდებულებებს მოიცავს, მათ შორის, საკანონმდებლო პროცესში საჯარო კონსულტაციების წარმოებას, პეტიციის სისტემის დანერგვას, ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად სპეციალური საჭიროებებისათვის შენობის და ვებგვერდის ადაპტირების კონცეფციის შემუშავებას, მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნას და ა.შ.

ჩვენი მიზანია, წარმოდგენილი ღიაობის ვალდებულებების განხორციელებით გავაუმჯობესოთ აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, გავხადოთ ის კიდევ უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, და ამით ხელი შევუწყოთ მოქალაქეთა მონაწილეობას მათთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მხოლოდ ასეთი მიდგომით შევძლებთ დემოკრატიული პროცესების განვითარების ხელშეწყობას რეგიონულ დონეზე.

**დავით გაბაიძე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ღია
მმართველობა
საქართველო

# სარჩევი


## სამოქალაქო ჩართულობა

6 ვალდებულება 1: საჯარო კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესში

10 ვალდებულება 2: აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად

13 ვალდებულება 3: აჭარის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა

16 ვალდებულება 4: ელექტრონული და წერილობითი პეტიციის სისტემის დანერგვა

## ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

18 ვალდებულება 5: მედიის აკრედიტაციის მექანიზმის შემუშავება

20 ვალდებულება 6: სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის ადაპტაცია

21 ვალდებულება 7: სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს შენობის ადაპტირება

23 ვალდებულება 8: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა სმენისარმქონეებისთვის – ჟესტურ ენაზე ადაპტირება

## ტექნოლოგიები და ინოვაცია

25 ვალდებულება 9: აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლის, სხდომაზე დასწრების და საშვის გაცემის ელექტრონული სისტემა

29 ვალდებულება 10: აჭარის უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების სხდომების ინტერნეტ-ტრანსლაცია და მოქალაქეთა ჩართულობა

31 ვალდებულება 11: უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება, პროაქტიულად გამოსაქვეყენებლი ინფორმაციის ნუსხის გაზრდა

## ანგარიშვალდებულება

35 ვალდებულება 12: აჭარის უმაღლესი საბჭოს, მისი ორგანოებისა და დეპუტატების საჯარო ანგარიშები მოქალაქეებს

38 ვალდებულება 13: უმაღლესი საბჭოს კომიტეტების სამოქმედო გეგმების შემუშავება და გამოქვეყნება

40 ვალდებულება 14: ღია კარის დღე

41 ვალდებულება 15: CSO დღე

# სამოქალაქო ჩართულობა

| ვალდებულება 1: საჯარო კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესში | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | პეტრე ზამბახიძე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი;<br>გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP);<br>ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI); დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი (NCCE). |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 და მე-17 მიზნები |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებს კანონპროექტების საჯარო განხილვას ან სხვაგვარ საჯარო კონსულტაციებს. ამავდროულად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობაზე ინფორმაცია სამოქალაქო სექტორშიც კი ძალიან მწირია.<br><br>აჭარის უმაღლესი საბჭო მუშაობს მნიშვნელოვან კანონპროექტებზე როგორც რეგიონის, ასევე, ცენტრალურ დონეზე. ამ პროცესში კი სამოქალაქო ჩართულობა საკმაოდ დაბალია (გამონაკლისია საკონსტიტუციო ცვლილებები, რაც სავალდებულო წესით რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში უნდა იყოს განხილული).<br><br>მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის და საკანონმდებლო ორგანოს ღიაობისთვის მნიშვნელოვანია საკანონდებლო ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული კანონპროექტები ითვალისწინებდეს მოქალაქეთა მიერ კომენტარის დატოვების, ან/და წერილობითი სახით კომენტარის/შენიშვნის/მოსაზრების გაგზავნის და უმაღლესი საბჭოს მხრიდან უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას. ამ დროისთვის, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. საკანონმდებლო ორგანოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტებზე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა გაზრდის მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხს რეგიონის პოლიტიკის შემუშავების პროცესში.<br><br>რეგიონში მოქმედებს ბევრი აქტიური და კვალიფიციური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელთა მონაწილეობა შესაბამისი სფეროს კანონპროექტების განხილვაში ხელს შეუწყობს საკანონმდებლო პროცესის ხარისხის და ეფექტიანობის ზრდას, ასევე, შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვანი პარტნიორების მოპოვებას კანონმდებლობის ადვოკატირებისათვის. |

| ვალდებულება 1: საჯარო კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესში | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მთავარი მიზანი** | აჭარის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო პროცესში საჯარო კონსულტაციების უზრუნველყოფა – მათ შორის, კანონპროექტებზე კომენტარების ფუნქციის ინტეგრირება ვებგვერდზე, წერილობითი ფორმით კომენტარის/შენიშვნის/მოსაზრების გასაგზავნად სისტემის ამოქმედება და უკუკავშირის სისტემის ჩამოყალიბება,<br><br>უმაღლესი საბჭოს მიერ კანონპროექტების და საქართველოს საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებისას სამოქალაქო სექტორის და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მათი განხილვების უზრუნველყოფა. | | | |
| **OGP გამოწვევა** | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება, საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| **OGP პრინციპები** | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✔ | ✔ | ✔ | ✔ |
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში კანონპროექტებზე საჯარო კონსულტაციის ფიზიკური ან ელექტრონული ფორმატით ჩატარების ვალდებულების ასახვა. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 12/2020 | |
| უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და აპარატისათვის საკანონმდებლო პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, უკუკავშირისა და ანგარიშგების სახელმძღვანელოს მომზადება. | ახალი ვალდებულება | 11/2020 | 03/2021 | |
| თანამშრომლების გადამზადება კომენტარების/შენიშვნების/მოსაზრებების მოგროვების, ანალიზის, უკუკავშირის წარმოების და ანგარიშგების საკითხებზე. | ახალი ვალდებულება | 03/2021 | 05/2021 | |
| ვებგვერდზე ატვირთულ კანონპროექტებზე კომენტარის გაკეთების და/ან შეთავაზების/მოსაზრებების ატვირთვის შესაძლებლობის დანერგვა/პლატფორმის შექმნა. | ახალი ვალდებულება | 03/2021 | 09/2021 | |
| უმაღლეს საბჭოში წარდგენილ კანონპროექტებზე ან საქართველოს კანონმდებლობის ინიციატივებზე საჯარო განხილვების ფიზიკური და ელექტრონული ფორმატით ჩატარების პრაქტიკის დანერგვა. | ახალი ვალდებულება | 03/2021 | 09/2021 | |

| ვალდებულება 1: საჯარო კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესში | | | |
|---|---|---|---|
| საჯარო კონსულტაციაში ჩაბმული პირებისგან უკუკავშირის მიღება და კონსულტაციის გაწევის შესახებ გაერთიანებული დოკუმენტის (ანგარიშგება) შედგენა. | ახალი ვალდებულება | 05/2021 | მუდმივად |
| საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა. | ახალი ვალდებულება | 09/2021 | მუდმივად |
| **ინდიკატორი** | - აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი ითვალისწინებს კანონპროექტებზე საჯარო კონსულტაციებს ფიზიკური ან ელექტრონული ფორმატით;<br>- შექმნილია დაინტერესებული მხარეების ჩართვის, უკუკავშირის და ანგარიშგების სახელმძღვანელო;<br>- უმაღლესი საბჭოს თანამშრომლები გადამზადებული არიან (არანაკლებ 10 თანამშრომელი) კომენტარების/ მოსაზრებების/შენიშვნების მიღების, ანალიზის, უკუკავშირისა და ანგარიშგების საკითხებზე;<br>- უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ინტეგრირებულია კომენტარების ან/და შეთავაზებების/მოსაზრებების წარდგენის ფუნქციონალი;<br>- უმაღლეს საბჭოში ინიციირებული კანონპროექტების 50% განხილულია საჯარო შეხვედრების ფორმატში (ფიზიკურ ან ელექტრონულ რეჟიმში);<br>- ჩატარებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით არანაკლებ 10 განხილვა;<br>- უმაღლეს საბჭოში ინიციირებული კანონპროექტების მინიმუმ 20%-ზე წარდგენილია კომენტარები, მოსაზრებები ან შეთავაზებები ვებგვერდის ან საჯარო განხილვების მეშვეობით;<br>- უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებულია ანგარიშები კანონპროექტებზე მიღებული შენიშვნების, მოსაზრებების და შეთავაზებების აღწერით, მათი გათვალისწინების ან გათვალისწინების შეუძლებლობის შესახებ. | | |

| ვალდებულება 1: საჯარო კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესში | |
|---|---|
| **რისკები და ვარაუდები** | მიუხედავად პლატფორმის შექმნისა, შესაძლებელია არ მოხდეს მოქალაქეების მხრიდან მისი აქტიური გამოყენება. ამ რისკის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია მოქალაქეები იყვნენ ინფორმირებული პლატფორმის არსებობის შესახებ, და მათ მიერ დაწერილ კომენტარზე მიიღონ უკუკავშირი.<br><br>ამგვარი შედეგის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია საინფორმაციო კამპანიის წარმოება, სოციალური რეკლამის მომზადება და განთავსება სხვადასხვა მედიასაშუალებაში რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისა და კომენტარების ველის დამატების შემდეგ.<br><br>საბჭოს ვებგვერდი შესაძლოა არ აღმოჩნდეს მზად კომენტარების და შეთავაზებების/მოსაზრებების წარდგენის ფუნქციონალის დასამატებლად ან შესაბამის თანამშრომელს არ აღმოაჩნდეს სათანადო უნარ-ჩვევები ასეთი ფუნქციონალის დასამატებლად. შესაძლებელია, პირველ ეტაპზე მარტივი სოციალური მედიის კომენტარების ფუნქციის დამატება და მოსაზრებების/შეთავაზებების მიღება ელ.ფოსტის მეშვეობით, რაზედაც ინფორმაცია იქვე განთავსდება.<br><br>უმაღლესი საბჭოს მხრიდან საკანონმდებლო ინიციატივების არარსებობის პირობებში, შესაძლებელია ვერ მოხდეს განხილვების აქტიური პროცესის დანერგვა<br><br>პროცესის ეფექტიანობისთვის აუცილებელია სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება, რაც საბჭოს არსებული რესურსით შეუძლებელია და შესაძლოა, საჭირო გახდეს დონორთა დახმარების მობილიზება. |

| ვალდებულება 2: აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | მერაბ ბლადაძე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 და მე-17 მიზნები |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობაა. მართალია, საბჭოს რეგლამენტით რამდენიმე ახალი მექანიზმი დაინერგა, თუმცა მექანიზმების უდიდესი ნაწილი არ ითვალისწინებს სამოქალაქო ჩართულობას აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის პროცესში.<br><br>აღსანიშნავია, რომ აჭარის მთავრობა, სამინისტროები და სხვა დაწესებულებები საკმაოდ დიდ საბიუჯეტო რესურსს განკარგავენ, საიდანაც, მაგალითად, ინფრასტრუქტურული ხარჯები ბიუჯეტის 60%-ზე მეტს (200 მილიონ ლარზე მეტს) შეადგენს, თუმცა არ არსებობს მექანიზმი ინფრასტრუქტურული ან სხვა პროექტების ზედამხედველობისათვის და ამ პროცესში სამოქალაქო ჩართულობისათვის.<br><br>რამდენადაც უმაღლესი საბჭოს მიერ ზედამხედველობის განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოქალაქეების, მედიის, სამოქალაქო სექტორის ან სხვა მხარეების მხრიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე, მნიშვნელოვანია ასეთი ინფორმაციის მიხედვით კონტროლის განხორციელების შესაძლებლობის შექმნა. მაგალითისათვის, აჭარის უმაღლეს საბჭოში შემოსული ინფორმაცია (განცხადების, წერილის ან საჯაროდ გაცხადების საფუძველზე) შეიძლება გამოყენებული იყოს კონკრეტული პროექტის შესრულების, განსაკუთრებით ეფექტიანი და ხარისხიანი შესრულების კონტროლისათვის. რა დროსაც, საბჭოს დეპუტატი ან დეპუტატთა ჯგუფი იყენებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებას, გაუწიოს მონიტორინგი აღმასრულებელ ხელისუფლებას და ამავდროულად, ამ პროცესში ჩართულია რეგიონში მოქმედი სამოქალაქო სექტორი მათი ექსპერტიზის შესაბამისად. ამ გზით, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლი ხდება სამოქალაქო ჩართულობით და, შესაძლებელი ხდება, სამოქალაქო სექტორში არსებულ კვალიფიკაციაზე, გამოცდილებაზე, დარგის ექსპერტულ ცოდნაზე დამყარებული ზედამხედველობა განხორციელდეს და დროულად მოხდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული პროექტის ეფექტიანობის შემოწმება.<br><br>ამ ეტაპზე არ არსებობს მნიშვნელოვანი პროექტების (საწყის ეტაპზე ინფრასტრუქტურული და სხვა მსხვილი პროექტების) შესახებ ერთიანი ვებ-პორტალი, სადაც განთავსდება ინფორმაცია საბიუჯეტო ხარჯების შესახებ (პროექტი, სატენდერო დოკუმენტაცია, მხარჯავი დაწესებულების  მიერ ზედამხედველობის შესახებ დოკუმენტაცია, უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.). |

| ვალდებულება 2: აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მთავარი მიზანი** | უმაღლესი საბჭოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ან განსახორციელებელ პროექტებზე ზედამხედველობა სამოქალაქო ჩართულობით და ვებ-პორტალზე ინფორმაციის თავმოყრა | | | |
| **OGP გამოწვევა** | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება, საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| **OGP პრინციპები** | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✔ | ✔ | ✔ | ✔ |
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | |
| საზედამხედველო მექანიზმის და შესაბამისი პროცედურების შემუშავება სამოქალაქო სექტორის ჩართულობით, ვებ-პორტალის კონცეფციის შემუშავება. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 12/2020 | |
| რეგლამენტში საჭირო ცვლილებების განხორციელება. | ახალი ვალდებულება | 11/2020 | 12/2020 | |
| უმაღლესი საბჭოს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრების გამართვა, შესაბამისი მექანიზმების და პროცედურების შესახებ, ვებ-პორტალის დანერგვისათვის პარტნიორის მოძიება. | ახალი ვალდებულება | 01/2021 | 05/2021 | |
| საზედამხედველო პროცესის ანგარიშგებისთვის დეპუტატების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისთვის და საბჭოს აპარატისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და გადამზადება. | ახალი ვალდებულება | 05/2021 | 07/2021 | |
| ვებ-პორტალის სატესტო რეჟიმში ჩაშვება - პროექტების შესახებ ინფორმაციის ეტაპობრივი განთავსება. | ახალი ვალდებულება | 07/2021 | 10/2021 | |
| საზედამხედველო პროექტების შერჩევა და სამოქალაქო ჩართულობით ზედამხედველობის განხროციელება. | ახალი ვალდებულება | 10/2021 | მუდმივად | |
| პროექტებზე ზედამხედველობის შესახებ სათანადო ანგარიშგება და ინფორმაციის ვებ-პორტალზე განთავსება. | ახალი ვალდებულება | 12/2021 | მუდმივად | |

| ვალდებულება 2: აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად | |
|---|---|
| **ინდიკატორი** | - შემუშავებულია საზედამხედველო მექანიზმი და შესაბამისი პროცედურები;<br>- სათანადო ცვლილებები (საჭიროების შემთხვევაში) ასახულია რეგლამენტში;<br>- ჩატარდა არანაკლებ ორი სამუშაო შეხვედრა;<br>- გადამზადებულია საბჭოს ყველა დეპუტატი, არანაკლებ 10 თანამშრომელი და სამოქალაქო სექტორის არანაკლებ 10 წარმომადგენელი;<br>- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების ნაწილი (არანაკლებ 10 პროექტი) განთავსებულია ვებ-პორტალზე სათანადო დოკუმენტაციის მითითებით;<br>- ზედამხედველობა განხორციელდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ/განხორციელების პროცესში მყოფ არანაკლებ 5 პროექტზე. |
| **რისკები და ვარაუდები** | მსგავსი მექანიზმის ჩამოყალიბებას სჭირდება მაღალი პოლიტიკური ნება უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის მხრიდან, რაც შესაძლოა ვერ მოხერხდეს ახალი მოწვევის პირობებში და აუცილებელია აღნიშნული პროექტი დაინერგოს მოქმედი მოწვევის პირობებში.<br><br>დამატებით რისკია მსგავსი გამოცდილების არარსებობა, რაც საჭიროებს მყარ მოსამზადებელ სამუშაოებს და დეტალურ სახელმძღვანელო მიდგომებს.<br><br>ვებ-პორტალის სისტემა საკმაოდ კომპლექსურია და აუცილებელი პარტნიორების მოზიდვის გარეშე, შეიძლება ვერ განხორციელდეს, რამდენადაც აჭარის მთავრობას და უმაღლეს საბჭოს არ აქვს მსგავსი სისტემების შექმნის გამოცდილება. |

| ვალდებულება 3: აჭარის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | პეტრე ზამბახიძე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი;<br>გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP);<br>ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 და მე-17 მიზნები |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მეორე მუხლის თანახმად, საბჭოს მუშაობის პრინციპებია საჯაროობა, გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა. უმაღლესი საბჭო აქტიურად ცდილობს დანერგოს ღია მმართველობის პრინციპები საკუთარ მუშაობაში, თუმცა მოქალაქეების მიღება, მათთვის სხვადასხვა სერვისის შეთავაზება და საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება - ჯერ კიდევ არასაკმარისად განვითარებულია. შესაბამისად, მოქალაქეების ჩართულობა უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში საკმაოდ დაბალია.<br><br>ამავე დროს, აჭარის უმაღლესი საბჭოს ახალი შენობის მხოლოდ პირველი სართულია მეტ-ნაკლებად შეღწევადი, მაშინ, როდესაც თანამდებობის პირთა ნაწილი მეორე და მესამე სართულებზე არის განთავსებული, რაც აფერხებს ყველა მოქალაქესთან შეხვედრას.<br><br>მოქალაქეთა რეგიონის პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობის გასაუმჯობესებლად, და ამავე დროს ჩართულობის თანამედროვე სტანდარტების დასანერგად, კარგი საშუალებაა მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა.<br><br>გარდა ამისა, აჭარის უმაღლესი საბჭო 2019 წლის ბოლოდან ახალ, ისტორიულ შენობაშია განთავსებული. მართალია, შენობას არ აქვს დიდი და განსაკუთრებული ისტორია ან ისტორიული სივრცეები, რეგიონის საკანონმდებლო ორგანოსადმი ცნობიერების გასაზრდელად შესაძლებელია შემუშავდეს ექსკურსიის პროგრამები, რომლებიც სცილდება მხოლოდ წარსულზე საუბარს და მოიცავს საბჭოს საქმიანობის განმარტებებსაც.<br><br>მსგავსი პროგრამებით სასკოლო და საუნივერსიტეტო სტუდენტების დაინტერესება საშუალებას მოგვცემს, გაიზარდოს ცნობადობა, ჩართულობა და გაუმჯობესდეს სამომავლოდ კადრების მოზიდვაც. |

| ვალდებულება 3: აჭარის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მთავარი მიზანი** | აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობისა და საბჭოს შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნით, რაც ასევე ითვალისწინებს შენობის ექსკურსიას და საბჭოს ფუნქციებზე ინფორმაციის მიწოდებას ექსკურსიის დროს. | | | |
| **OGP გამოწვევა** | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება, საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| **OGP პრინციპები** | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✔ | ✔ | ✔ | |
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის კონცეფციის შემუშავება. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 11/2020 | |
| მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის კონცეფციის განხილვა და დამტკიცება. | ახალი ვალდებულება | 11/2020 | 12/2020 | |
| ექსკურსიის პროგრამის შემუშავება (კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, მუზეუმების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და სხვა გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით) და დამტკიცება. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 12/2020 | |
| მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა, მოწყობა, აღჭურვა და საინფორმაციო მასალების მომზადება. | ახალი ვალდებულება | 01/2021 | 09/2021 | |
| მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრში ადაპტირებული სერვისების დანერგვა, თანამშრომელთათვის ინსტრუქციის შემუშავება და მათი გადამზადება. | ახალი ვალდებულება | 04/2021 | 09/2021 | |
| ექსკურსიის პოპულარიზაცია და მუდმივი ექსკურსიების განრიგის/პროცედურის დანერგვა | ახალი ვალდებულება | 05/2021 | მუდმივად | |

| ვალდებულება 3: აჭარის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა | |
|---|---|
| **ინდიკატორი** | - შემუშავებული და დამტკიცებულია მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის კონცეფცია;<br>- შექმნილი, მოწყობილი და აღჭურვილია მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი;<br>- მომზადებულია საინფორმაციო მასალები;<br>- ცენტრი ადაპტირებულ მომსახურებებს სთავაზობს შშმ პირებს;<br>- შემუშავებულია სამუშაო ინსტრუქციები მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრში მომუშავე თანამშრომლებისთვის;<br>- ცენტრის თანამშრომლები გადამზადებული არიან შესაბამის უნარებში;<br>- ცენტრის მომსახურების ფარგლებში შენობის ექსკურსიით ისარგებლა არანაკლებ ოთხმა საგანანმანათლებლო (სკოლა, უნივერსიტეტი ან სხვა) დაწესებულებამ. |
| **რისკები და ვარაუდები** | მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭიროა სათანადო სივრცე, მისი მოწყობა (საბჭოს შენობაში სათანადო ოთახის გამოყოფა არ იქნება შესაძლებელი, თუმცა თავისუფალ სივრცეში, შემოსასვლელის მიმდებარედ ასეთის აგება შესაძლებელია) და აღჭურვა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან.<br><br>უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო რესურსების შეზღუდულობის გათვალისწინებით, შესაძლებელია ამ საკითხით დონორთა დაინტერესება და მათთან ერთად სივრცის კონცეფციასა და შექმნაზე მუშაობა.<br><br>უმაღლესი საბჭოსადმი ინტერესი საზოგადოებაში საკმაოდ დაბალია, რის გამოც აუცილებელია სათანადო პოპულარიზაცია და დამატებით მიმზიდველობის გაზრდა. |

| ვალდებულება 4: ელექტრონული და წერილობითი პეტიციის სისტემის დანერგვა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | | |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | | |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | | | | |
| **ინიციატორი** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) | | | |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 მიზანი | | | |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | პეტიცია არის მოქალაქეთა ჯგუფის მიმართვა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიმართ, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი საჭიროებების გადაწყვეტას. მსოფლიოს საკანონმდებლო ორგანოების უმრავლესობას დანერგილი აქვთ პეტიციით მიმართვის პლატფორმები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი მოქმედი რედაქციით არ ითვალისწინებს პეტიციის წარდგენის არც წერილობით და არც ელექტრონულ ფორმას. პეტიციის წარდგენა მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ჩართულობისთვის და ღია მმართველობის პრინციპების განვითარებისთვის. აუცილებელია პეტიციებით მიმართვისა და განხილვის წესის დანერგვა მსოფლიოს საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. | | | |
| **მთავარი მიზანი** | | უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესაბამისი ცვლილების ასახვა და პეტიციის წერილობით/ელექტრონულად წარდგენის დანერგვა | | | |
| **OGP გამოწვევა** | | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება | | | |
| **OGP პრინციპები** | | გამჭვირვა-ლობა | ანგარიშვალ-დებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | | ✔ | ✔ | ✔ | ✔ |

| ვალდებულება 4: ელექტრონული და წერილობითი პეტიციის სისტემის დანერგვა | | | |
|---|---|---|---|
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: |
| ელექტრონული და წერილობითი პეტიციის წარდგენის დანერგვის მიზნით უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესაბამისი ცვლილების შეტანა. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 12/2020 |
| უმაღლესი საბჭოს შესაბამისი თანამშრომლების გადამზადება. | ახალი ვალდებულება | 12/2020 | 03/2021 |
| წერილობით პეტიციის წარდგენის დანერგვა (ამოქმედება). | ახალი ვალდებულება | 03/2021 | 05/2021 |
| ელექტრონული პეტიციის პლატფორმის კონცეფციის და ტექნიკური დავალების დამუშავება. | ახალი ვალდებულება | 01/2021 | 10/2021 |
| **ინდიკატორი** | - უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შეტანილია შესაბამისი ცვლილება;<br>- წერილობითი პეტიციის წარდგენა დანერგილია;<br>- შექმნილია პლატფორმის ტექნიკური დავალება. | | |
| **რისკები და ვარაუდები** | უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი შეიძლება ტექნიკურად არ იძლეოდეს პეტიციის ონლაინ წარდგენის პლატფორმის დამატების შესაძლებლობას;<br>ონლაინპლატფორმის შექმნისთვის საჭირო ფინანსების არარსებობა;<br>პლატფორმის შექმნა, თუმცა მოქალაქეების მხრიდან პეტიციების სისტემის გამოუყენებლობა. | | |

# ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

| ვალდებულება 5: მედიის აკრედიტაციის მექანიზმის შემუშავება | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | უმაღლესი საბჭოს აპარატი |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 და მე-17 მიზნები |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის არ უმაღლეს საბჭოს შენობაში გარეშე პირთა შესვლა წარმოებს უსაფრთხოების შესაბამისი წესების თანახმად. აღნიშნული წესი ითვალისწინებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთათვის აკრედიტაციის საფუძველზე შენობაში შესვლის საკითხს, თუმცა არ არსებობს აკრედიტაციის გაცემის მარეგულირებელი წესი. შესაბამისად, მედია საშუალებების წარმომადგენლებს ყოველი ვიზიტისას უწევთ საბჭოს შესაბამისი თანამდებობის პირების მხრიდან ერთჯერადი საშვის მოპოვება.<br><br>გარდა იმისა, რომ ასეთი საშვის მოპოვებას სჭირდება დრო და გარკვეული პროცედურები, არსებობს შესაძლებლობა, რომ მედიის წარმომადგენელმა ვერ მოახერხოს საშვის დროული მოპოვება, რაც უარყოფითად აისახება საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობაზე. შესაბამისად, აუცილებელია უმაღლეს საბჭოს ჰქონდეს დადგენილი მედიის წარმომადგენლებისათვის აკრედიტაციის წესი, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი მედია საშუალებების წარმომადგენლების მიერ საბჭოს საქმიანობაზე გაზრდილ ხელმისაწვდომობას და, შესაბამისად, ზოგადად გაზრდილ გამჭვირვალობას. |
| **მთავარი მიზანი** | | მედიის წარმომადგენლებს მიეცეთ საშუალება საბჭოს და მისი ორგანოების სხდომების და, აგრეთვე, ღონისძიებების დროს, შეუფერხებლად შევიდნენ უმაღლესი საბჭოს შენობაში აკრედიტაციის მეშვეობით და არ იყვნენ დამოკიდებული რომელიმე თანამდებობის პირის ნებაზე. |
| **OGP გამოწვევა** | | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება |

| ვალდებულება 5: მედიის აკრედიტაციის მექანიზმის შემუშავება | | | | |
|---|---|---|---|---|
| **OGP პრინციპები** | გამჭვირვა-ლობა | ანგარიშვალ-დებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✔ | ✔ | ✔ | |
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | |
| აკრედიტაციის წესის შემუშავება | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 10/2020 | |
| აკრედიტაციის წესის განხილვა სამოქალა-ქო სექტორისა და მედიის წარმომადგენ-ლებთან | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 11/2020 | |
| აკრედიტაციის წესის დამტკიცება და გაც-ნობა უმაღლესი საბჭოს შესაბამისი თანამ-შრომლებისათვის | ახალი ვალდებულება | 11/2020 | 12/2020 | |
| **ინდიკატორი** | - უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულია მედიის წარმომად-გენელთა აკრედიტაციის წესი;<br>- აკრედიტაციის წესი შემუშავებულია სამოქალაქო ჩართულო-ბით;<br>- აკრედიტაციის წესს იცნობს შესაბამისი თანამშრომლები - არანაკლებ 5 (ჩატარებულია არანაკლებ ერთი შიდა ფიზი-კური ან დისტანციური შეხვედრა);<br>- აკრედიტაცია გავლილი აქვს არანაკლებ 5 მედია საშუალე-ბას;<br>- მედია საშუალებების წარმომადგენლები უმაღლესი საბჭოს შენობაში მოსახვედრად შემთხვევათა 50%-ში იყენებენ აკ-რედიტაციის წესს;<br>- უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დასწრებისათვის მედია საშუა-ლებების წარმომადგენლების 50% სარგებლობს აკრედიტა-ციის წესით. | | | |
| **რისკები და ვარაუდები** | რამდენადაც აჭარის არ უმაღლესი საბჭოს საქმიანობით დაინ-ტერესება შესაძლებელია არ იყოს შემოფარგლული რეგიონში მოქმედი მედია-საშუალებების წარმომადგენლებით, შესაძლებე-ლია, ინდივიდუალურად საშვების გაცემის საჭიროება მაინც შე-ნარჩუნდეს.<br><br>მედია-საშუალებების წარმომადგენელთათვის აკრედიტაციის გაცემის წესის კომპლექსურობამ შესაძლოა გამოიწვიოს უკმა-ყოფილება მედიის წარმომადგენლებში, მეორეს მხრივ, აკრე-დიტაციის ზედმეტად მარტივი წესები შეიცავს უსაფრთხოების და დეზინფორმაციის გავრცელების მაღალ რისკებს. | | | |

| ვალდებულება 6: სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის ადაპტაცია | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | | |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | | |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | | | | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI);<br><br>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი - აჭარა. | | | |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-10 და მე-16 მიზნები | | | |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | 2013 წელს, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირება და, შესაბამისად, აიღო ვალდებულება უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვას. დღეისათვის, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი არ არის ადაპტირებული სპეციალური საჭიროებებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს არ შეუძლიათ მიიღონ რეგიონის საკანონდებლო ორგანოს ვებ-გვერდიდან მათთვის სასურველი ინფორმაცია. მაგ. უსინათლოებისთვის შეუძლებელია უმაღლესი საბჭოს არამარტო შენობით სარგებლობა არამედ უმაღლესი საბჭოს ვებგვერდით სარგებლობაც და შესაბამისად ამ ვებ-გვერდზე არსებული სიახლეები მათთვის მიუწვდომელია.<br><br>მოქალაქეების ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველყოფა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, შესაბამისად უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს ისეთი სამოქმედო კონკრეტული გეგმა, რითაც შშმ პირებს მაქსიმალურად უმოკლეს ვადაში ექნებათ შესაძლებლობა სხვათა თანასწორად ისარგებლონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდით. | | | |
| **მთავარი მიზანი** | | უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირების სამოქმედო გეგმა. | | | |
| **OGP გამოწვევა** | | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება, საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| **OGP პრინციპები** | | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | | ✔ | ✔ | ✔ | ✔ |

| ვალდებულება 6: სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის ადაპტაცია | | | |
|---|---|---|---|
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: |
| აკრედიტაციის წესის ვებგვერდის სპეციალური საჭიროებებისადმი ადაპტირების კონცეფციის შემუშავება | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 02/2021 |
| ვებგვერდის სპეციალური საჭიროებებისადმი ადაპტაციისთვის პროექტის და ხარჯთაღრიცხვის მომზადება | ახალი ვალდებულება | 02/2021 | 06/2021 |
| **ინდიკატორი** | - ვებგვერდის სტანდარტების შესაბამისად ადაპტირების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შემუშავებულია;<br>- ვებგვერდის სტანდარტების შესაბამისად ადაპტირების პროექტი დამტკიცებულია და განსაზღვრულია ადაპტაციის სამოქმედო გეგმა. | | |
| **რისკები და ვარაუდები** | ვებგვერდის ადაპტირების პროექტის შემუშავებისა და შემდგომში მისი დანერგვისთვის შესაბამისი ფინანსების არარსებობა;<br>არსებული ვებგვერდის, შშმ პირების მოთხოვნებისადმი ადაპტაციის ტექნიკური შეუძლებლობა. | | |

| ვალდებულება 7: სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს შენობის ადაპტირება | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI);<br>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი - აჭარა. |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-10 და მე-16 მიზნები |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | უმაღლესი საბჭოს შენობის ინფრასტრუქტურა არ ითვალისწინებს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებულ გარემოს, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის შშმ პირების რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში ჩართვას და უმაღლესი საბჭოს შენობით სარგებლობას. მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს კონცეფცია და დასახულ იქნეს კონკრეტული გზები, რითაც შშმ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, საჭიროების შემთხვევაში, სხვათა თანასწორად ისარგებლონ უმაღლესი საბჭოს შენობით და შესაბამისი უფლებებით. |

| ვალდებულება 7: სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის უმაღლესი საბჭოს შენობის ადაპტირება | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მთავარი მიზანი** | უმაღლესი საბჭოს შენობის სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირების სამოქმედო გეგმა | | | |
| **OGP გამოწვევა** | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება, საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| **OGP პრინციპები** | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✔ | ✔ | ✔ | |
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | |
| შენობის ადაპტირების კონცეფციის შემუშავება. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 02/2021 | |
| შენობის სპეციალური საჭიროებებისადმი ადაპტაციისთვის პროექტის და ხარჯთაღრიცხვის მომზადება. | ახალი ვალდებულება | 02/2021 | 06/2021 | |
| შენობის პროექტის და ადაპტაციის სამოქმედო გეგმის დამტკიცება. | ახალი ვალდებულება | 06/2021 | 09/2021 | |
| **ინდიკატორი** | - შენობის ადაპტირების კონცეფცია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად შემუშავებულია (ყველა ტიპის საჭიროებისათვის);<br>- შექმნილია შენობის ადაპტირების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა;<br>- მიღებულია პროექტი და სამოქმედო გეგმა. | | | |
| **რისკები და ვარაუდები** | კონცეფცია შემუშავებულია, მაგრამ შეუძლებელია დამატებითი ფინანსების მოძიება, შემდგომში უმაღლესი საბჭოს შენობის შშმ პირების საჭიროებებისადმი ადაპტაციისათვის.<br>ამ ეტაპზე გაურკვეველია, რამდენად არის არსებული შენობის სრულად ადაპტირება შესაძლებელი;<br>სათანადოდ (ადაპტირების შესაძლებლობის მხრივ) არ არის შესწავლილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენობა, რამაც შესაძლოა აუცილებელი გახადოს პროექტის თავდაპირველ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და შესაბამისად ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროექტის განხორციელების ვადებზეც. | | | |

| ვალდებულება 8: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა სმენისარმქონეებისთვის - ჟესტურ ენაზე ადაპტირება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | | |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | | |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | | | | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | ა(ა)იპ ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანბარი უფლებებისათვის | | | |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-10 და მე-16 მიზნები | | | |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დღევანდელი საქმიანობა ჯერ კიდევ მიუწვდომელი რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის იმ ნაწილისთვის, ვისაც სმენის პრობლემა აქვს. სმენისარმქონეები/სმენადაქვეითებულები მხოლოდ საინფორმაციო გამოშვების საფუძველზე იღებენ ინფორმაციას საბჭოს საქმიანობის შესახებ. საჯარო შეხვედრების დროს არ ხდება მათი საჭიროებების გათვალისწინება. | | | |
| **მთავარი მიზანი** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ სმენისარმქონეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა. | | | |
| **OGP გამოწვევა** | | სამოქალაქო ჩართულობა; საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| **OGP პრინციპები** | | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | | ✔ | ✔ | ✔ | ✔ |

| ვალდებულება 8: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა სმენისარმქონეებისთვის - ჟესტურ ენაზე ადაპტირება | | | |
|---|---|---|---|
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: |
| სურდოთარგმანის უზრუნველყოფისათვის თანამშრომლის/თანამშრომლების შერჩევა. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 01/2021 |
| ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის (მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ვიდეო-რგოლები) სურდოთარგმანით ან სუბტიტრებით უზრუნველყოფა. | ახალი ვალდებულება | 03/2021 | მუდმივად |
| შეხვედრების სურდოთარგმანის თანხლებით ჩატარების უზრუნველყოფა (შესაბამისი საჭიროების განსაზღვრის შედეგად). | ახალი ვალდებულება | 01/2021 | მუდმივად |
| **ინდიკატორი** | - უმაღლეს საბჭოს ჰყავს სურდოთართგმანის განმახორციელებელი თანამშრომელი;<br>- უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე მოცემული მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ვიდეო ინფორმაცია უზრუნველყოფილია სუბტიტრებით ან სურდოთარგმანით;<br>- უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე და ღონისძიებებზე უზრუნველყოფილია სურდოთარგმანი. | | |
| **რისკები და ვარაუდები** | შესაძლოა მიმდინარე წლის ბიუჯეტში ვერ მოხერხდეს შესაბამისი თანხების გამოყოფა ან ვერ შეირჩეს შესაბამისი თარჯიმანი არსებული რესურსების ფარგლებში. | | |

# ტექნოლოგიები და ინოვაცია

| ვალდებულება 9: აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლის, სხდომაზე დასწრების და საშვის გაცემის ელექტრონული სისტემა | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | უმაღლესი საბჭოს აპარატი;<br><br>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი - აჭარა; საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 მიზანი |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება მოქალაქე ჩაეწეროს მიღებაზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან; ვებ-გვერდზე არ არის ინფორმაცია დეპუტატთან მიღების საათების და არსებული განრიგის შესახებ. აუცილებელია, საიტს ჰქონდეს ისეთი ფუნქცია, რომელიც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას ჩაეწეროს დეპუტატთან შეხვედრაზე ან გაუგზავნოს მას კითხვა/მოსაზრება.<br><br>ამჟამად აჭარის უმაღლეს საბჭოში ვიზიტისათვის მოქალაქეებს სჭირდებათ საშვის მიღება საბჭოს საშვთა ბიუროსაგან, რომელიც შენობის გამოყოფილ ფლიგელშია. აღნიშნული ფლიგელი არ არის შშმ პირთათვის ადაპტირებული, რაც აფერხებს მათთვის საშვის მიღების პროცედურას.<br><br>გარდა ამისა, მოქალაქეებს არ აქვთ საშვის წინასწარ მიღების საშუალება, რითაც თავიდან აიცილებენ საშვთა ბიუროში მისვლის აუცილებლობას საბჭოს შენობაში შემოსვლამდე. შედარებით მრავალრიცხოვანი ღონისძიებისთვის კი ამან შეიძლება გამოიწვიოს საშვის დაშვებისთვის დიდი დროის გამოყოფის საჭიროება და შენობაში შემოსვლა შეფერხდეს.<br><br>დამატებით აღსანიშნავია, რომ Covid-19-თან დაკავშირებული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სტანდარტები მოითხოვს ფიზიკური კონტაქტების მინიმუმამდე დაყვანას, საშვთა ბიუროში ვიზიტი კი იწვევს დამატებით კონტაქტებს, რაც შეიცავს ჯანმრთელობის დამატებით რისკებს. ალტერნატიული მექანიზმი კი, მსგავსი სიტუაციებისათვის, არ არსებობს. |

| ვალდებულება 9: აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლის, სხდომაზე დასწრების და საშვის გაცემის ელექტრონული სისტემა | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გარდა ამისა, აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრებისათვის არ არის განსაზღვრული ცალკე პროცედურები, რის გამოც, დასწრების მსურველებს შორის ხშირად ხდება გაუგებრობა. საბჭოს სხდომათა დარბაზის სივრცის შეზღუდულობა კი დამატებით გამოწვევაა, და დამსწრეთა შორის ხშირად უთანხმოების საფუძველი ხდება.<br><br>უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის თანახმად, სხდომაზე გარეშე დამსწრე პირთა ჩართულობა არ არის გაწერილი, რამდენადაც საკანონმდებლო ორგანოების პლენარული სხდომა არ წარმოადგენს მსგავსი ფორმატის შეხვედრას. მესამე პირთა (მოსახლეობის, სამოქალაქო სექტორის ან სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების და ა.შ.) ჩართულობა გათვალისწინებულია საკომიტეტო საქმიანობაში. შესაბამისად, პროცედურულად გაწერილი წესი სხდომაზე დასწრებისათვის საჭიროა იმისათვისაც, რომ გააზრებული იყოს გარეშე პირთა უფლებები სხდომის მიმდინარეობისას და არ შეიქმნას სხდომის მიმდინარეობის შეფერხების საფრთხე.<br><br>სხდომაზე დასწრების ეფექტური შესაძლებლობით მოქალაქეებს მიეცემათ საშუალება, დააკვირდნენ სხდომის მიმდინარეობას და ცოცხალ რეჟიმში მიიღონ ინფორმაცია საბჭოს გადაწყვეტილებების და საქმიანობის შესახებ. აღნიშნულს, შესაძლოა, დამატებით სარგებელი ჰქონდეს სასწავლო დაწესებულებებისათვის, როდესაც მოსწავლეები და სტუდენტები დაესწრებიან სხდომას და გაეცნობიან საკანონმდებლო მუშაობის სპეციფიკას. | | | |
| **მთავარი მიზანი** | მოქალაქეთათვის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან შეხვედრის ორგანიზების გამარტივება, მოქალაქეთათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან შეხვედრების ორგანიზების და მათთან კომუნიკაციის ელექტრონული დამყარების შესაძლებლობის დამკვიდრება. ამ პროცედურის შედეგად კი, მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა ელექტრონული ფორმატით მოიპოვონ უმაღლესი საბჭოს შენობაში შესასვლელად საშვი და მარტივად განახორციელონ ვიზიტი.<br><br>განისაზღვროს აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესი და დაინერგოს ერთგვაროვანი პრაქტიკა. | | | |
| **OGP გამოწვევა** | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება, საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| **OGP პრინციპები** | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✔ | ✔ | ✔ | ✔ |

| ვალდებულება 9: აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლის, სხდომაზე დასწრების და საშვის გაცემის ელექტრონული სისტემა | | | |
|---|---|---|---|
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: |
| რეგლამენტში პლენარულ სხდომაზე დასწრების წესის შესახებ ცვლილებების პროექტის მომზადება. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 10/2020 |
| შეხვედრის ელექტრონულ ფორმატში ჩანიშვნის წესის შემუშავება და დამტკიცება. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 10/2020 |
| საშვის ელექტრონული გზით გაცემის წესის შემუშავება (კონცეფციის დონეზე). | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 10/2020 |
| რეგლამენტის ცვლილებების და დამატებითი პროცედურების მიღება. | ახალი ვალდებულება | 10/2020 | 12/2020 |
| საბჭოს ვებ-გვერდზე ახალი ფუნქციის დამატება - შეხვედრების ჩანიშვნა, საშვის ელექტრონული გზით გაცემის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა (სმს-ის, აპლიკაციის ან სხვა საშუალებით). | ახალი ვალდებულება | 10/2020 | 12/2020 |
| ელექტრონული შეხვედრის და საშვის სისტემის, ასევე, აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესის შესახებ საბჭოს აპარატის შესაბამისი თანამშრომლებისათვის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში გადამზადება. | ახალი ვალდებულება | 10/2020 | 12/2020 |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესის შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოყოფილად განთავსება (ასევე გამარტივებული ვარიანტით). | ახალი ვალდებულება | 12/2020 | 12/2020 |
| შეხვედრის ჩანიშვნის და საშვის ელექტრონული გზით გაცემის სისტემის სატესტო რეჟიმში დანერგვა. | ახალი ვალდებულება | 12/2020 | 02/2021 |
| შეხვედრების ჩანიშვნის და საშვის ელექტრონული გზით გაცემის სისტემის სრული დანერგვა. | ახალი ვალდებულება | 03/2021 | 05/2021 |

| ვალდებულება 9: აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლის, სხდომაზე დასწრების და საშვის გაცემის ელექტრონული სისტემა | |
|---|---|
| **ინდიკატორი** | - უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე დამატებულია ცალკე ფუნქცია მთავარ მენიუში „მიწერე დეპუტატს“;<br>- თითოეული თანამდებობის პირის პირად გვერდს ემატება ფუნქცია დეპუტატთან დასაკავშირებლად. ვებგვერდს ემატება მენიუში ცალკე ფუნქცია „დეპუტატთან შეხვედრის ჩანიშვნა“;<br>- შეხვედრის ჩანიშვნის ფუნქციით სარგებლობის დროს მოქალაქის მიერ მიწერილი მოთხოვნა მისდის შესაბამისი დეპუტატს, ფრაქციის, კომიტეტის სამდივნოს და მოქალაქეს ასევე ელექტრონულად მისდის შეხვედრის დროის შესახებ ინფორმაცია;<br>- დანერგილია საშვის ელექტრონული ფორმატით გაცემის სისტემა;<br>- ელექტრონულ საშვთა სისტემას იყენებს საბჭოს ვიზიტორთა არანაკლებ 10%;<br>- შემუშავებული და დამტკიცებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესი;<br>- აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესი მარტივი ფორმით განთავსებულია ვებ-გვერდზე გამოყოფილ სივრცეში;<br>- აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასწრების წესი დანერგილია პრაქტიკაში და მოქალაქეების მიერ დასწრება ხდება წესის შესაბამისად. |
| **რისკები და ვარაუდები** | არის ალბათობა, რომ ახალი ფუნქციების დამატების შესახებ საზოგადოებას ნაკლებად მიეწოდოს ინფორმაცია, შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს აპარატმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელში რეკლამის განთავსებით, ასევე მედიასაშუალებების დაინტერესება ახალი სერვისის გაჩენასთან დაკავშირებით.<br>საშვის გაცემის ელექტრონული სისტემა ინტეგრირებული უნდა იყოს საბჭოს ვებ-გვერდთან, თუმცა ამ უკანასკნელის გამართულობა არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საშვის გაცემის ელექტრონულ სისტემაზე.<br>დამატებითი რისკია ელექტრონული საშვისადმი დაბალი ინტერესი და მომხმარებელთა მხრიდან პირდაპირი კომუნიკაციისთვის უპირატესობის მინიჭება.<br>საბჭოს სხდომათა დარბაზის ზომიდან გამომდინარე შეზღუდული რაოდენობით დასწრებამ შესაძლოა იმოქმედოს წესის ეფექტიან განხორციელებაზე, რამდენადაც იარსებებს მომეტებული მოლოდინი, სხდომაზე დიდი რაოდენობით ადამიანების დასწრებაზე, რაც ვერ შესრულდება და გამოიწვევს უარყოფით განწყობას. |

| ვალდებულება 10: აჭარის უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების სხდომების ინტერნეტ-ტრანსლაცია და მოქალაქეთა ჩართულობა | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | პეტრე ზამბახიძე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი;<br>გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP);<br>მმართველობის მონიტორინგის ცენტრი. |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 მიზანი |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარული, საკომიტეტო და ბიუროს სხდომები პირდაპირ სატელევიზიო ეთერში არ გადაიცემა, შესაბამისად, მოქალაქეებს არ აქვთ შესაძლებლობა თვალყური ადევნონ სხდომების მიმდინარეობას. 2020 წლის მაისიდან უმაღლესმა საბჭომ დაიწყო პლენარული სხდომების ფეისბუქ-გვერდის მეშვეობით ლაივ რეჟიმში გადაცემა (ვებ-გვერდზე აღნიშნული ლაივსტრიმი ან შესაბამისი არქივი არ არის განთავსებული). აღნიშნული ლაივ-სტრიმები რამდენიმე ასეულმა ადამიანმა იხილა. თუმცა სხვა ტიპის სხდომების გადაცემა არ მომხდარა; გარდა ამისა, მსგავსი გადაცემებით მოქალაქეებთან ინტერაქტიული კომუნიკაციის საშუალება (კომენტარების მიღება, პასუხის გაჟღერება, ან სხვაგვარი დამუშავება და ა.შ.) არ არის განსაზღვრული საბჭოს რეგლამენტით.<br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი, ისევე, როგორც ბიუროს სხდომათა ოთახი (სადაც ბიუროს სხდომა და ხშირად, კომიტეტების სხდომები ტარდება) არ იძლევა მოქალაქეთა დიდი ჯგუფების დასწრების შესაძლებლობას. |
| **მთავარი მიზანი** | | აჭარის უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების სხდომების ინტერნეტის მეშვეობით გადაცემის პრაქტიკის და კომიტეტის სხდომებზე მოქალაქეთა კითხვების/შეთავაზებების მიღების სისტემის დანერგვა, რაც ასევე აისახება საბჭოს ვებ-გვერდზე. |
| **OGP გამოწვევა** | | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება, საჯარო მომსახურების გაუმჯობესება |

| ვალდებულება 10: აჭარის უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების სხდომების ინტერნეტ-ტრანსლაცია და მოქალაქეთა ჩართულობა | | | | |
|---|---|---|---|---|
| **OGP პრინციპები** | გამჭვირვა-ლობა | ანგარიშვალ-დებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✔ | ✔ | ✔ | ✔ |
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | |
| რეგლამენტში სხდომების ელექტრონული საშუალებებით პირდაპირ ეთერში გადაცემის და კომიტეტის სხდომაზე მოქალაქეთა მხრიდან კითხვების/შენიშვნების მიღების და რეაგირების ასახვა. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 12/2020 | |
| უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების ტრანსლაციისათვის ტექნიკური საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ბიუჯეტის განსაზღვრა. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 11/2020 | |
| უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზისა და ბიუროს ოთახის პირდაპირი ინტერნეტ-ტრანსლაციისთვის აღჭურვისათვის ტექნიკური დავალების შემუშავება. | ახალი ვალდებულება | 11/2020 | 12/2020 | |
| ვებ-გვერდზე ხარისხიანი ტრანსლაციის წარმოებისათვის საბიუჯეტო რესურსის გამოყოფა 2021 წლისთვის და დამატებითი ფინანსების მოზიდვა. | ახალი ვალდებულება | 11/2020 | 12/2020 | |
| სახელმწიფო შესყიდვის ჩატარება. | ახალი ვალდებულება | 01/2021 | 03/2021 | |
| ტრანსლაციის სისტემის მოწყობა. | ახალი ვალდებულება | 03/2021 | 09/2021 | |
| პლენარული სხდომების, ბიუროს სხდომების და კომიტეტების სხდომების ინტერნეტის მეშვეობით გადაცემა, კომიტეტის სხდომებზე კითხვა-პასუხის რეჟიმის პრაქტიკის დამკვიდრება და პოპულარიზაცია. | ახალი ვალდებულება | 09/2021 | მუდმივად | |

| ვალდებულება 10: აჭარის უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების სხდომების ინტერნეტ-ტრანსლაცია და მოქალაქეთა ჩართულობა | |
|---|---|
| **ინდიკატორი** | - რეგლამენტში ასახულია ცვლილებები, რომლებიც კომიტეტების სხდომებზე მოქალაქეებისგან ონლაინ რეჟიმში კითხვების და შენიშვნების მიღების და პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა;<br>- საბჭოს, ბიუროს, კომიტეტის და სხვა ორგანოების სხდომები გადაიცემა ინტერნეტის მეშვეობით პირდაპირ ეთერში (მინიმუმ ფეისბუქ ლაივ-სტრიმის სახით);<br>- შემუშავებულია ტექნიკური დავალება შესაბამისი სივრცეების აუდიო-ვიდეო სისტემების აღჭურვისათვის;<br>- მოძიებულია ფინანსური სახსრები ტექნიკური აღჭურვის შესყიდვისათვის.<br>- შემუშავებულია ტექნიკური დავალება და გამოყოფილია ბიუჯეტი;<br>- ტენდერით შერჩეულია კომპანია;<br>- უზრუნველყოფილია ლაივ-სტრიმის ტექნიკური მხარდაჭერა;<br>- ლაივ-სტრიმის რეჟიმში გადაიცემა ბიუროს, კომიტეტების და პლენარული სხდომები. |
| **რისკები და ვარაუდები** | უმაღლესი საბჭოს ორგანოების და განსაკუთრებით სხდომის პირდაპირ ეთერში ინტერნეტის მეშვეობით გადაცემა სრულყოფილად (რამდენიმე ვიდეოთვალი სხვადასხვა მოსაუბრის დასაფიქსირებლად, მიკროფონების აუდიო-სისტემა და ა.შ.) საკმაოდ დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული, რაც უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტისთვის შესაძლოა რთული იყოს.<br><br>ლაივ სტრიმის წარმოების შესახებ საზოგადოების სათანადოდ ინფორმირების გარეშე მსგავსი სისტემის დანერგვა შეიძლება იყოს საბიუჯეტო რესურსის არაეფექტური ხარჯვა, რის გამოც აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პოპულარიზაციის აქტივობები |

| ვალდებულება 11: უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება, პროაქტიულად გამოსაქვეყნებლი ინფორმაციის ნუსხის გაზრდა | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI);<br><br>საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო;<br><br>დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი (NCCE). |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 მიზანი |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის, საკანონმდებლო აქტები, აქტების პროექტები, ანგარიშები, სხდომის ოქმები და ა.შ. თუმცა ასეთი დოკუმენტების ნაწილი განთავსებულია დასკანერებულ ფორმატში, რაც მათ მოძიებას და შემდგომ დამუშავებას ართულებს, ზოგჯერ კი, შეუძლებელსაც ხდის. ასეთ დოკუმენტთა რიცხვშია საკანონმდებლო აქტების პროექტებიც, რომელთა გაცნობა და დამუშავება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვისაც მნიშვნელოვანია (მაგ. ქონების მართვის შესახებ კანონის ცვლილებების პროექტი, გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტები დასკანერებულ ფორმატში ასევე დიდი მოცულობისაა, რაც ვებგვერდის ფუნქციონირებასაც აფერხებს.<br><br>აუცილებელია ვებგვერდზე დოკუმენტაციის როგორც ღია, ასევე, ადვილად დასამუშავებელ ფორმატში (მაგალითად, HTML/MS Word) განთავსება მათი შემდგომი გამოყენების მიზნით.<br><br>აჭარის უმაღლესი საბჭო ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თვალსაზრისით, ხელმძღვანელობს დადგენილებით, რომელიც განსაზღვრავს გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას, პასუხისმგებელი პირებს, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის სტანდარტს, ფორმებს და ა.შ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ უმაღლეს საბჭოს ამ თვალსაზრისით ავტონომიის საჯარო დაწესებულებებს შორის ყველაზე კარგი პრაქტიკა აქვს (დადგენილებით განსაზღვრული ყველა ინფორმაცია (29 დასახელება) გამოქვეყნებულია), თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, გამჭვირვალობის ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალის გაზრდა და ასევე, როგორც ახალი, ისე ამჟამად გამოქვეყნებული ინფორმაციის ჩაშლა. |

## ვალდებულება 11: უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება, პროაქტიულად გამოსაქვეყენებლი ინფორმაციის ნუსხის გაზრდა

| | |
|---|---|
| | ამავდროულად, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია ინფორმაციის არა მხოლოდ პროაქტიულად გამოქვეყნება, არამედ გამარტივებული და ადვილად აღქმადი ფორმით განთავსება უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური, კერძოდ, საბიუჯეტო ინფორმაციის განთავსება. აუცილებელია ბიუჯეტის შესახებ გაერთიანებული და გამარტივებული ინფორმაციის განთავსება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში, რაც გაამარტივებდა ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.<br><br>როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ადვილად დასამუშავებულ ფორმატში. |
| **მთავარი მიზანი** | პროაქტიულად გამოსაქვეყენებელი საჯარო ინფორმაციის რაოდენობის გაზრდა, სულ მცირე, 40 სახეობამდე და ვებგვერდზე განთავსებული ოფიციალური დოკუმენტაცია განთავსდება დამუშავებად (machine-readable) ფორმატში, რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, ადვილად მოიძიონ მათთვის საინტერესო დოკუმენტი, ამ დოკუმენტის შიგნით კონკრეტული ინფორმაცია და საჭიროებისას დაამუშავონ ისინი. |
| **OGP გამოწვევა** | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება |

| **OGP პრინციპები** | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
|---|---|---|---|---|
| | ✔ | ✔ | ✔ | ✔ |

| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: |
|---|---|---|---|
| შესაბამისი დადგენილების ცვლილებების განხორციელება. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 12/2021 |
| ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის განახლება, ჩაშლა და გაანალიზება და 2016 წლიდან დღემდე დოკუმენტების შერჩევა, რომლებიც უნდა განთავსდეს დამუშავებად (machine-readable) ფორმატში. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 02/2021 |
| განახლებული დადგენილების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება. | ახალი ვალდებულება | 01/2021 | 05/2021 |
| საბიუჯეტო კალენდრით გათვალისწინებული დოკუმენტების/ ასევე სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამარტივებული სახით გამოქვეყნება. | ახალი ვალდებულება | 11/2020 | 05/2021 |

| ვალდებულება 11: უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება, პროაქტიულად გამოსაქვეყნებლი ინფორმაციის ნუსხის გაზრდა | |
|---|---|
| **ინდიკატორი** | - ვებ-გვერდზე 2016 წლიდან განთავსებული დოკუმენტების მინიმუმ 20% დამუშავებად (machine-readable) ფორმატში.<br>- უკვე გამოქვეყნებული ინფორმაცია განახლებულია ჩაშლილი და ადვილად დასამუშავებელი ფორმატით;<br>- გაზრდილი ნუსხის შესაბამისად გამოქვეყნებულია ინფორმაცია განახლებული მოთხოვნების მიხედვით;<br>- უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებულია გამარტივებული საბიუჯეტო დოკუმენტები. |
| **რისკები და ვარაუდები** | განთავსებული დოკუმენტების დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი სხვა ფორმატით (MS Word ან სხვა) არ არსებობს, მოითხოვს ასეთი დოკუმენტების ვებგვერდზე არსებული ვერსიის მიხედვით შექმნას, რაც დაკავშირებულია თანამშრომელთა დიდ დროით რესურსთან. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტებიდან შეირჩეს მხოლოდ ისეთი დოკუმენტები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (საკანონმდებლო აქტის პროექტები, განმარტებითი ბარათები, სამოქმედო გეგმები, ანგარიშები) და არა ყველა (მაგალითად, სხდომის ოქმები). |

# ანგარიშვალდებულება

| ვალდებულება 12: აჭარის უმაღლესი საბჭოს, მისი ორგანოების და დეპუტატების საჯარო ანგარიშები მოქალაქეებს | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;<br>გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP);<br>დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD). |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 მიზანი |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის თანახმად, საბჭოს ორგანოები, რომლებიც საქმიანობის ანგარიშს წარადგენენ, არის კომიტეტი (მუხლი 44.) და სათათბირო ორგანოები (გენდერული თანასწორობის და ღია მმართველობის საბჭოები - მუხლები 67, 671). ეს ორგანოები წელიწადში ერთხელ საქმიანობის ანგარიშებს წარუდგენენ უმაღლეს საბჭოს.<br><br>უმაღლესი საბჭოს ანგარიშის, დეპუტატის, ფრაქციის ან კომიტეტის ანგარიშის მოქალაქეებისათვის წარდგენა კანონმდებლობით განსაზღვრული არაა. ასეთი ანგარიშების გამოქვეყნება და ელექტრონული ფორმატით ხელმისაწვდომობაც (გარდა კომიტეტის ანგარიშისა) არ განისაზღვრება რეგლამენტით.<br><br>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებს დეპუტატების ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას. მართალია, საბჭოს ცალკეული ორგანოები წარადგენენ ანგარიშებს, თუმცა ანგარიშები არ წარედგინება მოსახლეობას. შედეგად, მოსახლეობისთვის ხშირად უცნობია, რას საქმიანობენ არჩეული დეპუტატები, რა მიღწევები და გამოწვევები აქვს საბჭოს და რა წვლილი შეიტანა თითოეულმა დეპუტატმა მის საქმიანობაში.<br><br>მნიშვნელოვანია, აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებმაც მიიღონ ინფორმაცია საბჭოში მიმდინარე პროცესებზე და მათ მიერ არჩეული დეპუტატების საქმიანობაზე. |

| ვალდებულება 12: აჭარის უმაღლესი საბჭოს, მისი ორგანოების და დეპუტატების საჯარო ანგარიშები მოქალაქეებს | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მთავარი მიზანი** | დაინერგოს აჭარის უმაღლესი საბჭოს, მისი დეპუტატების, კომიტეტების, სათათბირო ორგანოების ან/და სხვა ორგანოების მხრიდან პერიოდული ანგარიშების მომზადება და საჯაროდ, მოქალაქეთათვის წარდგენის წესი და პრაქტიკა. | | | |
| **OGP გამოწვევა** | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება, საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| **OGP პრინციპები** | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✔ | ✔ | ✔ | |
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ანგარიშების წარდგენის წესის და პერიოდულობის ასახვა. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 12/2020 | |
| ანგარიშის სარეკომენდაციო ფორმატის და საკითხების შემუშავება დეპუტატებისათვის, საბჭოს სხვადასხვა ორგანოსა და საბჭოსათვის (საკითხები, საჭირო ინფორმაცია და ა.შ.). | ახალი ვალდებულება | 12/2020 | 02/2021 | |
| დეპუტატებისთვის და შესაბამისი თანამშრომლებისათვის სატრენინგო/საორიენტაციო კურსის შემუშავება ანგარიშის მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებით.<br><br>დეპუტატების გადამზადება - თანაშემწეების არსებობის შემთხვევაში, მათი გადამზადებაც (სასურველია პარტნიორების დახმარებით). | ახალი ვალდებულება | 01/2020 | 03/2021 | |
| საჯარო ანგარიშგების შეთანხმებული გრაფიკის ჩამოყალიბება დეპუტატებისა და საბჭოს ორგანოებისათვის. | ახალი ვალდებულება | 05/2021 | 07/2021 | |
| დეპუტატთა ანგარიშები საზოგადოებას (ფიზიკური ან ონლაინ შეხვედრის სახით) და ანგარიშების დამუშავებად ფორმატში განთავსება ვებგვერდზე. | ახალი ვალდებულება | 10/2020 | 12/2021 | |
| კომიტეტის და სათათბირო ორგანოს ანგარიშების წარდგენა საზოგადოებისთვის (ფიზიკური ან/და ონლაინ შეხვედრის სახით) და ანგარიშების დამუშავებად ფორმატში განთავსება ვებგვერდზე. | ახალი ვალდებულება | 10/2021 | 12/2021 | |

| ვალდებულება 12: აჭარის უმაღლესი საბჭოს, მისი ორგანოების და დეპუტატების საჯარო ანგარიშები მოქალაქეებს | |
|---|---|
| **ინდიკატორი** | - აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი ითვალისწინებს ანგარიშების წარდგენის წესს და პერიოდულობას;<br>- შემუშავებულია ანგარიშის სარეკომენდაციო ფორმატი და განსაზღვრული მნიშვნელოვანი საკითხები დეპუტატებისათვის, სხვადასხვა ორგანოსა და საბჭოსათვის;<br>- დეპუტატებისთვის და შესაბამისი თანამშრომლებისათვის მომზადებულია სატრენინგო/საორიენტაციო კურსი ანგარიშის მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებით;<br>- დეპუტატები და შესაბამისი თანამშრომლები (თანაშემწეების 100%, კომიტეტების არანაკლებ თითო თანამშრომელი) გადამზადებული არიან ანგარიშგების საკითხებზე;<br>- მომზადებულია საჯარო ანგარიშგების შეთანხმებული გრაფიკი დეპუტატებისა და საბჭოს ორგანოებისათვის;<br>- წარდგენილია დეპუტატთა არანაკლებ ნახევრის ანგარიშები საზოგადოებისათვის (ფიზიკური შეხვედრის სახით) მუნიციპალიტეტების ნახევარში მაინც და ანგარიშები დამუშავებად ფორმატში განთავსებულია ვებგვერდზე;<br>- ყველა კომიტეტის და სათათბირო ორგანოს ანგარიში წარდგენილია საზოგადოებისთვის (ფიზიკური ან/და ონლაინ შეხვედრის სახით) და ანგარიშები დამუშავებად ფორმატში განთავსებულია ვებგვერდზე. |
| **რისკები და ვარაუდები** | უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ცალკეულ სუბიექტებთან კომუნიკაციის სირთულემ გამოიწვიოს ანგარიშების ამ ფორმატში წარდგენისგან თავის შეკავება. გარდა ამისა, კოვიდ-19-ის კვლავ არსებობის საფრთხემ შესაძლოა ხელი შეუშალოს საჯარო შეხვედრების ჩატარებას ანგარიშების ჩასაბარებლად.<br><br>შესაძლებელია ასეთ შემთხვევებში დეპუტატებთან მოხერხდეს წერილობითი ანგარიშების მომზადებაზე მუშაობა და მათი საჯარო შეხვედრის ნაცვლად, სატელევიზიო ან სხვა მედია ან სოც.მედიის საშუალებით საჯაროდ ჩაბარების პრაქტიკის გამოყენება. აღნიშნული მიდგომა ვირუსის გავრცელების რისკებსაც ითვალისწინებს.<br><br>ასევე შესაძლებელია, ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის მისაღები არ იყოს 2021 წლის ბოლოს პირველი ანგარიშის ჩაბარება. |

| ვალდებულება 13: უმაღლესი საბჭოს კომიტეტების სამოქმედო გეგმების შემუშავება და გამოქვეყნება | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP);<br>ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 და მე-17 მიზნები |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებს კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმების შემუშავების ვალდებულებას. აღნიშნული საკითხი პრობლემურად იქნა მიჩნეული ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროგრამის „საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში“ დაკვეთით ჩატარებული უმაღლესი საბჭოს საჭიროებათა კვლევაშიც. ეს აფერხებს კომიტეტების საქმიანობის ეფექტიან დაგეგმვას, შესრულებული საქმიანობის მონიტორინგს, ანგარიშგებასა და შეფასებას.<br><br>გარდა ამისა, უმაღლესი საბჭოს კომიტეტების საქმიანობაში სამოქალაქო სექტორისა და საზოგადოების მონაწილეობა მინიმალურია, რაც ვერ უზრუნველყოფს მონაწილეობითი და ინკლუზიური საკანონმდებლო და საზედამხედველო პროცესების წარმართვას. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობა ხელს შეუწყობს სხვადასხვა აქტივობის სექტორის წარმომადგენლებთან ერთად დაგეგმვას და მოქალაქეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკის განსაზღვრას.<br><br>კომიტეტებმა ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობისთვის, მნიშვნელოვანია, წინასწარ შეიმუშავონ, დაგეგმონ და გამოაქვეყნონ წლის განმავლობაში განსახორციელებლი საქმიანობები. |
| **მთავარი მიზანი** | | კომიტეტების მიერ წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება და გამოქვეყნება, რაც საზოგადოებას მისცემს შესაძლებლობას მიიღოს ინფორმაცია საკანონმდებლო ორგანოში დაგეგმილი პროცესების შესახებ, სამოქმედო გეგმის შემუშავებაში საბჭოს წევრებთან ერთად ჩართულია სამოქალაქო სექტორი |
| **OGP გამოწვევა** | | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება |

| ვალდებულება 13: უმაღლესი საბჭოს კომიტეტების სამოქმედო გეგმების შემუშავება და გამოქვეყნება | | | | |
|---|---|---|---|---|
| **OGP პრინციპები** | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✔ | ✔ | ✔ | |
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავების გათვალისწინება. | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 12/2020 | |
| კომიტეტების აპარატის თანამშრომლების გადამზადება სამოქმედო გეგმის შემუშავების სპეციფიკასა და თანამონაწილეობით შემუშავების საკითხებზე. | ახალი ვალდებულება | 12/2020 | 01/2021 | |
| კომიტეტების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დაწყება და მასში სამოქალაქო სექტორის ჩართვა. | ახალი ვალდებულება | 01/2021 | 03/2021 | |
| უმაღლესი საბჭოს კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმების დამტკიცება. | ახალი ვალდებულება | 03/2021 | 05/2021 | |
| **ინდიკატორი** | - აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი ითვალისწინებს კომიტეტების სამოქმედო გეგმების შემუშავებას;<br>- კომიტეტების მიერ ჩატარებულია არანაკლებ თითო შეხვედრა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ორწლიანი ანგარიშების შემუშავებისათვის;<br>- ყველა კომიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ორწლიანი სამოქმედო გეგმები;<br>- სამოქმედო გეგმები დამუშავებად ფორმატში განთავსებულია ვებგვერდზე. | | | |
| **რისკები და ვარაუდები** | ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის შესაძლებელია რთული აღმოჩნდეს მცირე დროში სამოქმედო გეგმების შემუშავება და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით მათი განხილვა. | | | |

| ვალდებულება 14: ღია კარის დღე | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | | |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | | | |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | | | | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) | | | |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 მიზანი | | | |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის უმაღლესი საბჭოს ბათუმის ცენტრალურ უბანში გადმოსვლასთან ერთად გაჩნდა მოლოდინი მოსახლეობის უფრო აქტიური ჩართულობით წარიმართოს საბჭოს აქტივობები. თუმცა, რეგიონის საკანონმდებლო ორგანოსადმი ინტერესი საკმარისად მაღალი არაა, გარდა ამისა, არ სხდომებზე მოქალაქეთა დასწრება საკმაოდ შეზღუდულია, როგორც სხდომათა დარბაზის ზომის, ასევე პრაქტიკის არარასებობის გამო.<br><br>რეგიონის დონეზე მოქალაქეთა დაინტერესების და ჩართულობის გაზრდის ეფექტური შესაძლებელობაა „ღია კარის დღის“ პრაქტიკის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს მეტ ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალოობს. | | | |
| **მთავარი მიზანი** | | აჭარის უმაღლესი საბჭო წელიწადში ორჯერ ატარებს „ღია კარის დღეს“ აჭარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მოსასმენად. | | | |
| **OGP გამოწვევა** | | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება | | | |
| **OGP პრინციპები** | | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | | ✔ | ✔ | ✔ | |
| **განხორციელების ეტაპები** | | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | |
| ღია კარის დღის საკითხის მარეგულირებელი წესის შემუშავება და დამტკიცება. | | ახალი ვალდებულება | 09/2020 | 12/2020 | |
| ღია კარის დღის პრაქტიკის დანერგვისათვის შესაბამისი სახელმძღვანელო ინსტრუქციების მომზადება და თანამშრომლების გადამზადება. | | ახალი ვალდებულება | 01/2020 | 03/2021 | |

| ვალდებულება 14: ღია კარის დღე | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ღია კარის დღის ჩანიშვნა. | ახალი ვალდებულება | 03/2021 | 06/2021 |
| ღია კარის დღის ოქმის და ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება, შესაბამისი რეაგირების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. | ახალი ვალდებულება | 06/2021 | 08/2021 |
| **ინდიკატორი** | - შემუშავებულია ღია კარის დღის მარეგულირებელი წესი;<br>- მომზადებულია სახელმძღვანელო ინსტრუქციები დღის ჩატარებისა და ანგარიშგების საკითხებზე;<br>- გადამზადებულია შესაბამისი თანამშრომლები;<br>- ჩატარებულია არანაკლებ ერთი ღია კარის დღე;<br>- ღია კარის დღის ოქმი და ანგარიში დამუშავებად ფორმატში განთავსებულია ვებგვერდზე. | | |
| **რისკები და ვარაუდები** | ღია კარის დღის ჩატარება სხდომათა დარბაზში შესაძლოა გართულდეს დარბაზის ზომის გათვალისწინებით, რისთვისაც გასვლითი სხდომის ორგანიზების შესაძლებლობა უნდა იყოს განხილული. | | |

| ვალდებულება 15: CSO დღე | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო |
| | სამოქალაქო/ კერძო სექტორი/ საერთაშორისო ორგანიზაცია | |
| **ინიციატორი** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, (სამოქალაქო/კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია): | | სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) |
| მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება | | მე-16 და მე-17 მიზნები |
| **არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა** | | აჭარის უმაღლეს საბჭოს არ აქვს სამოქალაქო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის გამოცდილება და ტრადიცია. არ ტარდება რეგულარული შეხვედრები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მხარეთა შორის დიალოგი, იდეათა გაცვლა, პარტნიორობის შესაძლებლობების განხილვა და ამავდროულად საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა. |
| **მთავარი მიზანი** | | დაინერგოს უმაღლესი საბჭოს მიერ წელიწადში ერთხელ რეგიონში წარმოდგენილი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრის პრაქტიკა. |
| **OGP გამოწვევა** | | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება |

| ვალდებულება 15: CSO დღე | | | | |
|---|---|---|---|---|
| **OGP პრინციპები** | გამჭვირვა-ლობა | ანგარიშვალ-დებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✔ | ✔ | ✔ | |
| **განხორციელების ეტაპები** | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | |
| უმაღლეს საბჭოსა და სამოქალაქო სექ-ტორს შორის დეკლარაციის გაფორმება | ახალი ვალდებულება | 12/2020 | 03/2021 | |
| უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს მიერ პირველი შეხვედრის ორგა-ნიზება | ახალი ვალდებულება | 03/2021 | 09/2021 | |
| შეხვედრის ანგარიშის მომზადება და ვებ-გვერდზე გამოქვეყნება | ახალი ვალდებულება | 09/2021 | 11/2021 | |
| **ინდიკატორი** | - რეგლამენტი ითვალისწინებს ყოველწიური შეხვედრის და ანგარიშგების ვალდებულებას;<br>- გაფორმებულია მემორანდუმი უმაღლეს საბჭოსა და სამოქა-ლაქო სექტორის წარმოამდგენლებს შორის;<br>- უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებულია ერთი ყოველწლი-ური შეხვედრა. | | | |
| **რისკები და ვარაუდები** | უმაღლესი საბჭოს სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის მწირი პრაქტიკის გამო, შესაძლოა CSO დღის მიმართ მოლო-დინები იყოს არაერთგვაროვანი და საჭიროა თანამშრომლობის პრაქტიკის გაძლიერება. | | | |

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

გამოიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პოზიციად დაუშვებელია.